საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსის ანოტაციის ფორმა

კურსის სახელწოდება: ბიზნეს რუსული ენა

კურსის მოცულობა: 4 კვირა, 6 სთ. კვირაში, 24 საათი ჯამში

კურსის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო გორგილაძე

კურსის განხორციელებაში მონაწილე მასწავლებლები: ნინო გორგილაძე

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა:

კურსი განკუთვნილია მსმენელთათვის, რომლებსაც სურთ მუშაობა ბიზნესის ნებისმიერ სფეროში ან რომლებიც უკვე მოღვაწეობენ აღნიშნულ სფეროში და გააჩნიათ პროფესიული ზრდის სურვილი. მოცემული კონკრეტული კურსის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმის სფერო - ოტელებისა და ტურისტული კომპლექსების პერსონალი, რომელსაც უშუალო კონტაქტი აქვს რუსულენოვან ტურისტებთან, კურსი აგრეთვე განკუთვნილია ნებისმიერი პირისთვის, რომელიც არ ფლობს რუსულ ენას და სურს დაიკმაყოფილოს კომუნიკაციური მოთხოვნილება ელემენტარულ დონეზე.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: კურსი განკუთვნილია მსმენელთათვის, რომლებიც იწყებენ რუსული ენის შესწავლას.

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები: კურსი აგებულია ინტენსიური სწავლების მეთოდური კონცეფციის გათვალისწინებით. სასწავლო ლექსიკური მასალის შერჩევის პრინციპი მიზნად ისახავს ზეპირი მეტყველების უნარჩვევების სწრაფ და წარმატებულ შესწავლას საერთოენობრივი ურთიერთობისა და ბიზნესის თემატურ ფარგლებში. კურსის მოსალოდნელი შედეგები: სამეტყველო უნარებისა და ჩვევების ფორმირება, გარკვეული ლექსიკური მარაგის დაუფლება, სტერეოტიპული სტრუქტურებისა და გამოთქმების გამოყენებით ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა ყოფით და პროფესიულ სფეროებში.

მონაწილეთა შეფასების სიტემა: პრეზენტაცია - 30%

საშინაო დავალება - 30%

ზეპირი გამოცდა - 40%

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

100 ქულიანი შეფასების სისტემით 51 ქულის მიღება.

კურსის სტრუქტურა და შინაარსი:

(მიუთითეთ ძირითადი საკითხები, საათების რაოდენობა თითოეული საკითხისათვის, ლიტერატურა)

# კვირა	**სესიების თემები**	**საათების რაოდენობა თითოეული სესიისათვის**	**ლიტერატურა**
1	აუცილებელი ლექსიკური მარაგი. Словарь в картинах. კონსტრუქცია Как вас зовут? როგოდ დავასახელოთ ადამიანი, საგანი Кто это? Что это? როგორ დავადგინოთ პროფესია, საქმიანობა Кто он? პირის ნაცვალსახელები он, она, они. გაცნობა, მისალმება, დამშვიდობება. სიტუაცია - როგორ დავხვდეთ სტუმრებს /განთავსება, ნომრის შეკვეთა, ბარგის განთავსება და ა.შ./.	1 კვირა 6 ს.	Хавронина С. Русский язык. Лексико-грамматический курс для начинающих. М. Изд. Дрофа. 2008. დამხმარე ლიტერატურა: Антонова В.Е., Нахабина М.М., Толстых А.А. Дорога в Россию. Учебник русского языка (элементраный уровень). СПб. Изд. Златоуст. М. МГУ. 2004. Русский – Экзамен – Туризм. РЭТ – 0. Учебный комплекс по русскому языку как иностранному в сфере международного туризма.
2	სქესი. როგორ დავადგინოთ ადგილმდებარეობა - ადგილის ზმნიზედები (Где). მრავლობითი რიცხვი. კუთვნილების გამოხატვა კონსტრუქცია У меня есть. კუთვნილებითი ნაცვალსახელები. კონსტრუქცია Чей это...? როგორ დავახასიათოდ ადამიანი, საგანი - ზედსართავი სახელი (Какой?) როგორ დავადგინოთ დასახელება Как называется? როგორ მივიქციოთ ყურადღება და დავიწყოთ საუბარი Скажите, пожалуйста. Извините, пожалуйста. Вы не знаете ... ზრდილობიანი მიმართვის ფორმები. მადლიერების გამოხატვა. სიტუაცია - რა უნდა იცოდეს ოტელის პერსონალმა /ტაქსის გამოძახება, პოლიციის გამოძახება, ბილერების შეკვეთა, სატელეფონო საუბდის შეკვეთა და ა.შ./.	2 კვირა 6 ს.	Хавронина С. Русский язык. Лексико-грамматический курс для начинающих. М. Изд. Дрофа. 2008. Еремина Л.И., Любимцева С.Н., Тарковская Б.М. Русский язык для бизнесменов. Интенсивный курс. М. Изд. Русский язык. Курсы. 2006.
3	მოქმედების გამოხატვა. ზმნის აწმყო. მოქმედების დროის განსაზღვრა - დროის ზმნიზედებ (Когда?) მოქმედების დახასიათე (Как?) კონსტრუქცია Вы говорите по-русски? ზმნის წარსული დრო. სურვილის, დამოკიდებულების, აუცილებლობის გამოხატვა любить, хотеть, должен + инфинитив. მიზეზის	3 კვირა 6 ს.	Овсиенко Ю.Г. Русский язык для начинающих. Изд. Русский язык. Курсы. М. МГУ.2008.

	გამოხატვა (Почему?) თხოვნის, გაკვირვების, ეჭვის გამოთქმა. სიტუაცია - რა უნდა იცოდეს ოტელის პერსონალმა /ინფორმაციის გაცემა, თხოვნის შესრულება და ა.შ./.		
4	საგნის, ადამიანის ადგილმდებარეობა (Где?) (предложный падеж). მოძრაობის მიმართულების გამოხატვა (Куда?) (винительный падеж). მოძრაობის საწყისი პუნქტი (Откуда?) (родительный падеж). მოძრაობის ძმნები идти – ехать... რაოდენობის გამოხატვა. დროის განსაზღვრა, საათი. ასაკი Сколько времени? Сколько стоит? Сколько ... лет? შეთავაზება, თანხმობა ან უარყოფა. სიტუაცია - კაფეში, რესტორანში, ვალუტის გადამცვლელ პუნქტში, მაღაზიაში.	4 კვირა 6 ს.	Русский – Экзамен – Туризм. РЭТ – 0. Учебный комплекс по русскому языку как иностранному в сфере международного туризма.

კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:

სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭიროა პროექტორი, აუდიტორია, საკანცელარიო ნივთები